



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 49230112

თარიღი:11/01/2023

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების,
ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის
თავმჯდომარის ლევან ჩანქსელიანის შვებულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის #36 დადგენილების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 15 ივლისის #23 დადგენილების შესამე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **ლევან ჩანქსელიანს** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს ნება დაერთოს ისარგებლოს 2023 წლის ანაზღაურებადი შვებულებით, 24 სამუშაო დღე, 2023 წლის 12 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით.
2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში მოვალეობის შესრულება დაევალოს ამავე კომისიის წევრს ნოდარ ასათიანს.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს საშვებულებო თანხის გაცემა.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ.№11).

თეიმურაზი ჭემვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

